# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 24 აგვისტო 2005 №193 (2516) ფასი 50 თეთრი




## კანდელაკი ხარკოვში თავისუფლად ჩავიდა

3



## რუსებს ლატვიის ყიდვა უნდოდათ

ასტაფიევსი ბრალს სდებს

9



## ტრაგედია შხელდაზე

კავკასიონმა კიდევ ერთი მთამსვლელი იმსხვერპლა

14

# თემურის რაზმს ქინქლაძე გამოაკლდა

## გიორგიმ რუბინს ჩააკითხა



# ველოშარი

## ტურს ტურტლი აუგორეს

„ტურ დე ფრანსის" შვიდგზის გამარჯვებულს, ამერიკელ ველოვარსკვლავ ლენს არმსტრონგს ფრანგულმა სპორტულმა გაზეთმა „ეკიპმა" 1999 წლის ამბავი გამოუჩხრიკა და კარიერის პირველ ტრიუმფალურ „ტურზე" დოპინგ-თაღლითობა გამოუაშკარავა... თუ ეს მართალია.

საიდან და როგორ ამოიქექა ამდენი ხნის ამბავი? როდის ჩატარდა ექვსი წლის წინანდელი სინჯის ანალიზი? არის ეს ისტორია მორიგი დარტყმა მსოფლიო ველოსპორტისთვის თუ უბრალოდ ფრანგთაგან ამერიკელის სიძულვილის მორიგი ნიმუშია? ამ ამბების შესახებ მეთხუთმეტე გვერდზეა მოთხრობილი.



## ჩემპიონთა ლიგა. მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი

ლოკომოტივი (რუსეთი) 0—1 რაპიდი (ავსტრია) (1:1)
პარტიზანი (სერბეთი) 0—0 პეტრჟალკა (სლოვაკეთი) (0:0) 3:4 პენ.
თუნი (შვეიცარია) 3—0 მალმიო (შვედეთი) (1:0)
მონაკო (საფრანგეთი) 2—2 ბეტისი (ესპანეთი) (0:1)
პანათინაიკოსი (საბერძნეთი) 3—1 ვისლა (პოლონეთი) (1:3) 4:1 დ.დ
როსენბურგი (ნორვეგია) 3—2 სტიაუა (რუმინეთი) (1:1)
უდინეზე (იტალია) 3—2 სპორტინგი (პორტუგალია) (1:0)
ლივერპული (ინგლისი) 0—1 ცსკა (ბულგარეთი) (3:1)

## ინტერტოტოს თასი 2005

ფინალი. საპასუხო მატჩები

ვალენსია (ესპანეთი) 0—0 ჰამბურგი (გერმანია) (0:1)
ლანსი (საფრანგეთი) 3—1 კლუჟი (რუმინეთი) (1:1)
მარსელი (საფრანგეთი) 5—1 დეპორტივო (ესპანეთი) (0:2)



პანათინაიკოსი — ვისლა.
თრილერი ათენში მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა

### ინგლისი

პრემიერლიგა. III ტური
სანდერლენდი 1:2 სიტი
პორტსმუთი 1:1 ასტონ ვილა
ბირმინგემი 0:3 მიდლსბრო

კარლინგის თასი
სკანთორპი 2:1 ტრანმერი
შრუსბერი 2:2 ბრაიტონი (3:2 დ.დ)
უოტფორდი 3:1 ნოტსი
ვულვზი 5:1 ჩესტერი
რედჰემი 0:1 დონკასტერი
როტერჰემი 3:1 პორტ ვეილი
როჩდეილი 0:5 ბრედფორდი
პრესტონი 1:1 ბარნსლი (2:2 დ.დ, 4:5 პ.)
პლიმუთი 2:1 პიტერბრო
ნორთჰემპტონი 3:0 ძპრ
ნოტინგემი 2:3 მაკლსფილდი
ლიდსი 2:0 ოლდემი
ჰარტლპული 3:1 დარლინგტონი
ლეიტონი 1:3 ლუტონი
ლინკოლნი 5:1 ძრიუ
სტოკპორტი 1:1 უენსდი (2:4 დ.დ)
სუინდონი 1:3 უიკომბი
შეფილდი 1:0 ბოსტონი
ჯილინგემი 1:0 ოქსფორდი
ჩელტენემი 5:0 ბრენტფორდი
ბლეკპული 2:1 ჰალი
ბრისტოლი 2:4 ბარნეტი
ბერი 0:3 ლესტერი
ბარნლი 2:1 კარლაილი
დონსი 0:0 ნორვიჩი (0:1 დ.დ)
კრ. პალასი 3:0 უოლსოლი
რედინგი 1:1 სუონსი (3:1 დ.დ)
მენსფილდი 1:1 სტოკი (3:0 პ.)
მილუოლი 2:0 როვერსი
იფსვიჩი 0:2 იოვილი

### გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
V ტური
ფორტუნა 2:0 ზტ. პაული
ობერჰაუზენი 2:2 კიოლნი (მ)
სამხრეთ რეგიონალლიგა
III ტური
ელვერსბერგი 3:2 ტრირი

### შოტლანდია

თასი. II ეტაპი
აბერდინი 3:0 ბერიკი
ფოლკირკი 2:1 პარტიკი
კილმარნოკი 4:1 სტირლინგი
მოზერუელი 2:1 ჰამილტონი
ქუინზ პარკი 0:2 ჰართსი
რეითი 1:2 ლივინგსტონი
როსი 1:2 ეარი
სტ. ჯონსტონი 0:1 სტ. მირენი
სტრანრარი 3:1 დანდი
პიტერჰედი 2:3 კლაიდი
გრეტნა 0:1 დანფერმლაინი

# ქინქლაძეს პრემიერლიგაში დაუძახეს
## აიბროქსზე ქინქის გარეშე

**დღეს** „ანართოსისი“ „რეინჯერსს“ კი ეთამაშება გლაზგოში, მაგრამ გიორგი ქინქლაძე გუნდს შოტლანდიაში არ გაჰყოლია — ქინქლაძე ახლა რუსეთშია და იქაური პრემიერლიგის ყაზანის „რუბინში“ ეშურება გადასვლას.

„ჩემთვის ქინქლაძის საკითხი დახურულია. არ ვარ დაინტერესებული, გუნდში მყავდეს ისეთი ფეხბურთელები, რომელთაც „ანართოსისში“ თამაში არ სურთ“ — აი, ეს განუცხადა გუშინ ბრიტანელ ჟურნალისტებს „ანართოსისის“ მოთამაშე-მწვრთნელმა თემურ ქეცბაიამ.

ქინქლაძე ბრიტანეთში კარგად ახსოვთ და მისი „რეინჯერსთან“ თამაში იქაურთათვის საინტერესო ამიტომაც იყო, თანაც „რეინჯერსთან“ პირველ შეხვედრაში კვიპროსზე გიომ საკმაოდ ნორმალურად ითამაშა.

გასაგებია ქეცბაიას მკაცრი ტონიც — „რეინჯერსთან“ ძალიან მნიშვნელოვანი მატჩის წინ ქინქლაძე სხვა გუნდში გადასვლას ლამობს, თუმცა ფეხბურთელს თავისუფალი არჩევანის უფლებაც რომ უნდა ჰქონდეს, არც ამას გაუვა წყალი.

ქინქლაძეს გუშინ მოსკოვში დავუკავშირდით და ჯერ ის ვკითხეთ, „რუბინს“ როგორ გაუჩნდა მისდამი ინტერესი. მანამდე კი, იმასაც შეგახსენებთ, რომ „რუბინი“ რუსულ პრემიერლიგაში ახლა მეოთხე ადგილზეა და იქ საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველი ლაშა სალუქვაძე თამაშობს...

— „რუბინის“ წარმომადგენლები „ანართოსის“ — „რეინჯერსის“ მატჩზე ჩამოვიდნენ ჩემი თამაშის სანახავად და მეც ამის შემდეგ შევიტყვე მათი ინტერესის შესახებ. ხვალ მოსკოვიდან ყაზანში ჩავალ კლუბის ხელმძღვანელობასთან დასალაპარაკებლად.

— არ შეგეძლო, „რეინჯერსთან“ გლაზგოშიც გეთამაშა? ნუთუ ორი დღე რამეს წყვეტდა?

— „რუბინს“ 27 აგვისტოს აქვს მატჩი რუსეთის ჩემპიონატში და კლუბს სურს, რომ ეს შეხვედრა არ გამოვტოვო, რადგან რუსული პრემიერლიგის დამთავრებას ბევრიც არაფერი უკლია.

— გამოდის, „რუბინში“ შენი ტრანსფერი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია...

— ვნახოთ, იმედია, ყველაფერი კარგად დამთავრდება.



დიდი შანსია, ლაშა სალუქვაძე და გიორგი ქინქლაძე თანაკლუბელები გახდნენ

**დავით თავართქილაძე**

# ქეცბაიას ქიცი-ქიცმაცური
## თემურმა ფედერაცია გააკრიტიკა

**დღეს** თემურ ქეცბაიას „ანართოსისი“ ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩში სტუმრად „გლაზგო რეინჯერსს“ ეთამაშება. მანამდე კი ქეცბაია კვიპროსის ფეხბურთის ფედერაციას აკრიტიკებს, რასაც ბრიტანული BBC-იც იუწყება.

საქმე ისაა, რომ ამ უქმეებზე „ანართოსისი“ კვიპროსის სუპერთასზე „ომონიას“ ეთამაშა. ძირითადი დრო 2:2 დამთავრდა, დამატებითშიც ფრე, ხოლო პენალტების სერიაში „ანართოსისმა“ 4:5 წააგო.

„ნუთუ არავის მოსვლია აზრად, რომ მნიშვნელოვანი ევრომატჩის წინ 120 წუთის თამაში ყველაზე მომაკვდინებელი იქნებოდა?“ — აი, ასეთი გახლდათ ქეცბაიას შეკითხვა კვიპროსის ფეხბურთის ფედერაციისადმი და თემურმა იქვე დასძინა: „შესაძლოა, კვიპროსის ფეხბურთის ფედერაცია სულაც არ ზრუნავს ჩვენს ევროთამაშებზე. ამ ეჭვს ის აძლიერებს, რომ ჩვენ და „ომონიას“ შეგვეძლო შევთანხმებულიყავით — თუ ძირითადი დრო ფრედ დასრულდებოდა, მყის პენალტებს დავარტყამდით და დამღლელ დამატებით დროს ავიცილებდით „რეინჯერსთან“ კარსმომდგარი მატჩის წინ“.



თემურ ქეცბაია კვიპროსული ფეხბურთის მამებს შემოსწყრა

BBC აღნიშნავს, რომ ქეცბაიას უკმაყოფილებანი „რეინჯერსის“ თავკაც ალექ მაკლიშის ნათქვამის თავისებური ექოა — მაკლიშმა შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციას ჭკუა „ანართოსისთან“ კვიპროსული მატჩის წინ მოჰკითხა — ამ მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე ინვერნესში გამგზავრება და თამაში რად გვაიძულეთო.

გუშინ კი ქეცბაიამ გლაზგოში „რეინჯერსთან“ მატჩზეც ილაპარაკა: „ამ თამაშის ჩვენ არ გვეშინია, რადგან დასაკარგი არაფერი გვაქვს. არა მგონია, „რეინჯერსი“ „ტრაბზონსფორზე“ ბევრად უკეთესი გუნდი იყოს. ასე რომ, ჩვენთვის სასურველი შედეგის მიღწევის მჯერა. გლაზგოში არდადეგებზე კი არა, საქმის გასაკეთებლად ჩამოვედით“.

შეგახსენებთ, პირველ მატჩში „რეინჯერსთან“ ქეცბაიას გაწვრთნილი „ანართოსისი“ შინ 1:2 დამარცხდა.

**დავით თავართქილაძე**

# გამეზარდაშვილი შინიკშია

## ქართველი მცველის რუსული ვოიაჟი



**ქუთაისის** „ტორპედოდან" წასული დავით გამეზარდაშვილი გუშინ იაროსლავლში ჩავიდა იქაურ „შინიკთან" მოსალაპარაკებლად.

22 წლის ტანმაღალ მცველს ბოლო ერთ კვირაში „როსტოვთან" და მოსკოვის „ლოკომოტივთან" ჩაეშალა საქმე და ახლა სწორედ „შინიკში" ეცდება ფეხის მოკიდებას.

შეგახსენებთ, რომ გამეზარდაშვილმა „ტორპედო" უეფას თასზე ბელარუსულ ბატესთან მატჩების მერე დატოვა და დღემდე უგუნდოდაა. ამბობდნენ, მისით თბილისის „დინამოცაა" დაინტერესებული და ქუთათურებიც მზად არიან, კონტრაქტი გაუგრძელონ, თუმცა ჩანს, გამეზარდაშვილს მტკიცედ გადაუწყვეტია უცხოეთში თამაში.

მოკლედ, ვნახოთ, როგორ დასრულდება ჩვენებურისა და „შინიკის" დიალოგი...

**ქახა შალამბერიძე**

# კანდელაკი ხარკოვში თავისუფლად ჩავიდა

## რამდენი ქართველი იქნება მეტალისტში?

**დიდი შანსია,** თბილისის „დინამოს" მცველი ილია კანდელაკი ხარკოვის „მეტალისტში" ჩაირიცხოს. ეს ტრანსფერი ბოლომდე გადაწყვეტილი ჯერ არაა, თუმცა ფაქტია, კანდელაკი უკვე ხარკოვშია და უკრაინელებთან მოლაპარაკებებს აწარმოებს.



„მეტალისტის" ხელმძღვანელობას საქმეს ისიც უიოლებს, რომ კანდელაკი თავისუფალი აგენტია — „დინამოსთან" კონტრაქტი დაუმთავრდა.

ასე რომ, მეტალისტელ ლაშა ჯაკობიას ეგებ ერთი თანამემამულე შეემატოს. „მეტალისტი" ექვსი ტურის მერე უკრაინის ჩემპიონატში მესამე ადგილზეა.

**ქახა შალამბერიძე**

# ბობოხიძე-დინამო გრძელდება

**მიხეილ ბობოხიძემ** თბილისის „დინამოში" დარჩენა გადაწყვიტა და კლუბთან ახალი, სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ამგვარად, ბობოხიძის უკრაინულ თუ რუსულ კლუბებში გადასვლის თაობაზე მითქმა-მოთქმა შეწყდა.

შეგახსენებთ, რომ 25 წლის თავდამსხმელს „დინამოსთან" კონტრაქტი 1 აგვისტოს დაუმთავრდა და დიდი შანსი იყო, კარიერა უკრაინულ „ვორსკლაში" გაეგრძელებინა, თუმცა ასე არ მოხდა — ბობოხიძე და „დინამო" თანამშრომლობას აგრძელებენ.

**ქახა შალამბერიძე**



# სერგეი ნუდნი: დინამოს ძალა ერთ ტაიმს გასწვდა

*მე-17 ეროვნული ჩემპიონატის მესამე ტურში „ზესტაფონმა" წლეულს უკვე მესამედ მოუგო თბილისის „დინამოს", რისი მთავარი შემოქმედიც სერგეი ნუდნი გახლავთ. 24 წლის მოლდოველი ნახევარმცველი მეორე ტაიმში შევიდა მოედანზე და ულამაზესი მაკრატელა აძგერა ჩემპიონებს. არადა, ნუდნიზე ვერ იტყვი, გოლებზე დაგეშილი ნახევარმცველიაო — მხოლოდ მეორე ბურთი მიითვალა „ზესტაფონის" მაისურით. ფეროელთა შემადგენლობა წინა სეზონის შემდეგ საკმაოდ გადახალისდა და სერგეის ამაზეც ვკითხეთ, თუმცა ჯერ მისი სუპერგოლით დავიწყეთ...*



— „დინამოს" საჯარიმოში მივიღე ბურთი, ავიგდე და ფიქრის დრო არ იყო, პასს ველარ გავაკეთებდი, მაკრატელა უნდა დამერტყა. ლამაზი გოლი გამოვიდა, პირდაპირ ცხრიანში.

**— მოლდოვაში თუ გაგიტანია მსგავსი გოლი?**

— ოფიციალურ თამაშებში არა, ჭაბუკთა გუნდში კი გამიტანია.

**— „დინამოსთან" ბოლო ოთხი მატჩიდან სამი მოიგეთ და არც ერთი ბურთი არ გაგიშვიათ. ეს რას მივაწეროთ, „ზესტაფონისთვის" „დინამო" ხელსაყრელი მეტოქეა?**

— როგორ გითხრათ. თბილისელებს კარგი გუნდი ჰყავთ, ბოლოს და ბოლოს, ჩემპიონები არიან. იღბლის ამბავიცაა, „დინამომ" პირველ ტაიმში ისეთი მომენტები გაანიავა... მეორე ნახევარში კი ჩვენ შედარებით უკეთ ვთამაშობდით, ბურთი დავიჭირეთ. როგორც შევატყვე, „დინამოს" ენერგია მხოლოდ ერთ ტაიმს გასწვდა, მეორეში კი დაიღალა. არ ვიცი, ეგებ დავალება ჰქონდათ, რომ პირველ ნახევარში გადაეწყვიტათ ყველაფერი.

**— „ზესტაფონი" სეზონის წინ რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა და ეს, ალბათ, თამაშზეც აისახება. ყოველ შემთხვევაში, შარშანდელივით ჯერ ვერ ყოჩაღობთ...**

— თავიდან ყველა გუნდს დაეტყობა ფეხბურთელების წასვლა. ახლა მართლაც ისე ჩანს, რომ დავსუსტდით. ისე, ერთი მხრივ კარგიცაა, რომ აქცენტი ახალგაზრდებზე კეთდება. „ზესტაფონში" ბევრი ჭაბუკი მოვიდა, მაგრამ მათ შედეგს ჯერ ვერ მოსთხოვ — სწავლა სჭირდებათ.

**— ახალგაზრდები გასულ სეზონშიც საკმაოდ გყავდათ. მათ თამაშში პროგრესს ამჩნევ?**

— კი, თუნდაც რევაზ კვერნაძე ავიღოთ — იბრძვის და აზრიანად თამაშობს. გიორგი განუგრავაც კარგი ბიჭია, შალვა ღონღაძეც საიმედოდ დგას დაცვაში. შარშან ის ფოთიდან მოვიდა და თავიდან უჭირდა, მაგრამ ახლახან საქართველოს ნაკრებში გამოიძახეს.

**— რეალურად „ზესტაფონს" შეუძლია ჩემპიონობისთვის და თასისთვის ბრძოლა?**

— გამორიცხული არაფერია. მგონი, „ზესტაფონის" გარდა სხვა გუნდებიდანაც წავიდნენ გამოცდილი ფეხბურთელები, რომლებიც ახალგაზრდებმა შეცვალეს. მაგალითად, რომ გვემოძრავა და ტემპში ავყოლოდით, მეორე ტურში „ამერის" დამარცხებაც შეიძლებოდა. 15 წუთი ვირბინეთ და გავჩერდით. არადა, ვერ ვიტყვი, რომ „ამერი" „ზესტაფონზე" ძლიერია.

**— ადრე ამბობდი, ზესტაფონში ცხოვრება მიჭირსო. ახლა უკეთ გრძნობ თავს?**

— ზესტაფონში ჯერ არც ჩავსულვარ, სულ შეკრებებზე ვართ. ახლაც თბილისში ვემზადებით. ისე, თუ ქალაქში სასტუმრო არ იქნება, ნებისმიერ ფეხბურთელს გაუჭირდება.

**ილია ნანობაშვილი**

# დავით ყიფიანის თასი

## მეთექვსმეტედფინალი. პირველი მატჩები

გუშინ

| | | |
|---|---|---|
| **ზესტაფონი** ზესტაფონი | **3:0** | **ზუგდიდი** ზუგდიდი |
| **ბორჯომი** ბორჯომი | **2:0** | **მერანი** თბილისი |
| **დილა** გორი | **3:3** | **მესხეთი** ახალციხე |
| **დინამო** სოხუმი | **1:1** | **საგარეჯო** საგარეჯო |

დღეს

| | | |
|---|---|---|
| **დინამო** ბათუმი | — | **გურია** ლანჩხუთი |
| **კოლხეთი** ფოთი | — | **მაღაროელი** ჭიათურა |
| **სიონი** ბოლნისი | — | **ლიახვი** თამარაშენი |
| **ამერი** თბილისი | — | **მეშაძრე** აგარა |
| **სპარტაკი** თბილისი | — | **გარდაბანი** გარდაბანი |
| **კახეთი** თელავი | — | **ჩიხურა** საჩხერე |
| **თბილისი** თბილისი | — | **რუსთავი** რუსთავი |
| **ცხინვალი** ცხინვალი | — | **გაგრა** გაგრა |



ზესტაფონი — ზუგდიდი 3:0. კახა ჩხეტიანი (მარჯვნივ) და მისი გუნდი, ფაქტობრივად, მერვედფინალში არიან

# ერთი-ორი დღეც და...



ბადრი კოპალიანის ფოტო

## ტერეკი 60/40-ზეა

**გოგიტა გოგუა „თბილისიდან" რუსეთის პირველი დივიზიონის „ხიმკიში" მარტში გადავიდა, მაგრამ ჩემპიონატში აქამდე მხოლოდ ხუთჯერ ითამაშა. არადა, გოგუა ერთობ საჭირო ფეხბურთელია საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის.**

**ჩვენი ეროვნული გუნდის ახალ მწვრთნელ გაიოზ დარსაძეს გოგუა 17 აგვისტოს ყაზახეთთან მატჩისთვის არ გამოუძახებია, მაგრამ 3 და 7 სექტემბერს უკრაინასთან და დანიასთან შეხვედრებისთვის ეროვნულ გუნდში მიიწვია...**

**— უთამაშებელი ფეხბურთელისთვის მოულოდნელი იყო ეროვნულ ნაკრებში გამოძახება?**

— არა, მოწვევას ველოდი, რადგან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის უფროსობამ მანამდე მითხრა, მზად იყავიო.

**— სათამაშო პრაქტიკის არქონას რა კომპენსაციას უკეთებ?**

— „ხიმკიში" ამხანაგურ მატჩებს ვთამაშობ რუსეთის პირველი დივიზიონის და პრემიერლიგის გუნდებთან. რა თქმა უნდა, უმჯობესი იქნებოდა, პირველ გუნდში მიწევდეს თამაში.

**— ამხანაგური თამაშები ერთია, მაგრამ ახლა უკრაინის და დანიის ეროვნულ ნაკრებებთან მატჩებია...**

— ყაზახეთში ახალგაზრდულ ნაკრებში ვითამაშე და ვფიქრობ, ეროვნულშიც შემწევს თავის გამოჩენის ძალა. რაც მთავარია, ჯანმრთელად ვარ, არანაირი ტრავმა არ მაწუხებს.

**— დაახლოებით სამი კვირის წინ რუსეთის პრემიერლიგის „ტერეკში" აპირებდი გადასვლას. ჩახვედი კიდეც გროზნოში, მაგრამ ტრანსფერი ფინანსური შეუთანხმებლობის გამო შეფერხდა — ახლა რა დონეზეა ეს საქმე?**

— რაც გროზნოდან ხიმკიში დავბრუნდი, კლუბებს შორის მოლაპარაკება გრძელდებოდა და ყველაფერი ერთ-ორ დღეში დასრულდება.

**— როგორ შეაფასებდი „ტერეკში" გადასვლის შანსს?**

— „ტერეკში" გადასვლა მეც ძალიან მსურს და გროზნოელებსაც. თუ „ტერეკში" წავალ, მპირდებიან, რომ გაცილებით მეტი სათამაშო პრაქტიკა მექნება, ვიდრე „ხიმკიში". რაც შეეხება შანსს, ეს ალბათ 60/40-ზეა.

**— „ტერეკში" შენს განათხოვრებაზეა ლაპარაკი თუ ტრანსფერზე?**

— ტრანსფერზე.

**დავით თავართქილაძე**



ლევან მელიქია

# პოლონეთმა საქართველოს პალანგა გადაუნლურა

**საქართველოს** 17-წლამდელთა ნაკრებმა პალანგის ტურნირზე ლატვიასთან 0:1 მარცხის მერე ჯგუფში მეორე თამაშიც წააგო — 1:2 პოლონეთთან. სხვადასხვა ვებგვერდზე მოძიებული ინფორმაციით მხოლოდ ის გავიგეთ, რომ პირველი ტაიმი 1:1 დასრულდა და პოლონელებმა მატჩის ბოლოსლა გაიტანეს გადამწყვეტი გოლი.

ჯგუფის მეორე წყვილში რუსეთმა ლატვიას 2:0 მოუგო.

ხვალ ლევან მელიქიას შეგირდები სწორედ რუსებს ეთამაშებიან. თუმცა რომც მოიგონ, ჯგუფში ბოლო ადგილს ვერ ასცდებიან.

ტურნირის ბოლო დღეს ქართველი ჭაბუკები B ჯგუფის ბოლოადგილოსანს შეხვდებიან მე-7 ადგილისთვის მატჩში. სავარაუდოდ, ეს გუნდი აზერბაიჯანი იქნება და ეგებ, მათთან მაინც არ წავაგოთ...

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 4 |
| პოლონეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:4 | 4 |
| ლატვია | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| საქართველო | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |

# ჯერ ნორვეგია, მერე მაკედონია

საქართველო — უკრაინის ეროვნულ ნაკრებთა მატჩს ნორვეგიელ მსაჯთა ბრიგადა გაუძღვება ტომი ოვრებოს მეთაურობით, ხოლო ოთხ დღეში, დანია — საქართველოს მაკედონიელი ემილ ბოჟინოვსკი განსჯის.

აქვე გაცნობებთ, უკრაინასთან თამაში 3 სექტემბერს 20 საათსა და 15 წუთზე დაიწყება და, როგორც იცით, მაყურებელთა გარეშე ჩაივლის. კოპენჰაგენის „პარკენზე" კი დანია — საქართველო თბილისის დროით 22 საათზე დაიწყება.



ტომ ოვრებო

# თუ მოხვდი თელავში...

## ხალხის სითბო, ოფსაიდი, ყასაბი და კახეთი

**საქართველოს** ქალაქებისთვის უჩვეულოდ სუფთა ქუჩები, მოწესრიგებული ტყე-პარკები, გაჭირვებისგან ცოტა ნაღვლიანი, მაგრამ საოცრად თბილი, ზრდილი და დინჯი ხალხი — 15-20 წუთით შეათვალიერე თელავი და წარმოდგენა შეგექმნება.

თელაველები ამაყობენ თელაველობით, მაგრამ კახეთის კოხტა ქალაქში ვცხოვრობთ და ჩვენა ვართ, ვინცა ვართო, ამას არავინ გაგაგონებს და არც გაგრძნობინებს.

სტუმართმოყვარეობას ხომ ნულარ იკითხავთ...

თელავის მშვენება, ცხადია, მეფე ერეკლეს ძეგლია, მის გარშემო არაჩვეულებრივი სისუფთავე და სიწყნარეა, ონავარი ბავშვებიც კი არ შედიან და არ ანაგვიანებენ მოედანს.

თელავი და სპორტი: სტადიონის გვერდით არცთუ დიდი, მაგრამ კოხტა სპორტკომპლექსია, სადაც კალათბურთის, ხელბურთის და ფრენბურთის დარბაზებია. იქვეა სხვა სახეობების სექციებიც.

მოკლედ, ამ ქალაქში სპორტი უყვართ და განსაკუთრებით, ცხადია, ფეხბურთზე არიან გადაგებულნი...

ნადიკვარს გაუყვები და ტყე-პარკს მიადგები. იქიდან უკვე ჩანს გივი ჩოხელის ძეგლი. ჰო, არ დაგავიწყდეს, სტადიონიდან ასიოდ მეტრში კაფე „ოფსაიდია", სადაც გულშემატკივრები თამაშამდე და თამაშის შემდეგ უხვად იკრიბებიან. რას იტყვით, ხომ ზედგამოჭრილია კაფეს სახელწოდება?

გივი ჩოხელის სტადიონი 6 000 მაყურებელს იტევს, ტრიბუნები ორ მხარეს, დასავლეთ-აღმოსავლეთზეა, სამხრეთით კი გორაა და ბლომად გულშემატკივარი იქიდან უყურებს თამაშს. მაგალითად, პირველ ტურში თბილისის „დინამოსთან" ორივე ტრიბუნა და გორაც გადავსებული იყო, „ვიტ ჯორჯიასთან" კი შედარებით სიხალვათე იგრძნობოდა. დასავლეთ ტრიბუნაზე, პრესლოჟის ქვემოთ, მთლიანად ინდივიდუალურ სკამებს ამონტაჟებენ, შემდეგ კი აღმოსავლეთზეც გადავლენ.

თელავის „კახეთი", უმაღლეს ლიგაში წლეულს გადასული გუნდი, ამ სეზონში დიდ მიზნებს არ უტრიალებს. ის კი ნაღდად ვიცით, რომ არ გავვარდებითო — ამბობენ ქომაგები. „კახეთის" 90 პროცენტს ადგილობრივი ფეხბურთელები შეადგენენ, მხოლოდ სამი კაცია ჩამოყვანილი...

მატჩისას კახური ორსართულიანი გინებები ხშირად ისმოდა, ძირითად მსაჯების მისამართით, ხოლო სტუმარი „ვიტ ჯორჯიას" არც ერთი მოთამაშისთვის შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ. ალბათ, ამითაც განსხვავდება თელავი ბევრი სხვა ქალაქისგან...

როგორც გავიგეთ, საქართველოს ჩემპიონატის კვალობაზე „კახეთს" არცთუ მწირი ბიუჯეტი აქვს, რაც სპონსორების და ასევე რაიონის ხელმძღვანელობის დამსახურებაა. კახეთის გუბერნატორი პეტრე ცისკარიშვილიც დაინტერესებულია კლუბით და საშინაო მატჩებს შეძლებისდაგვარად ესწრება. თელავის რაიონის გამგებელი გოჩა მამაცაშვილი კი, როგორც კლუბის ერთ-ერთი მთავარი დამფინანსებელი, არც ერთ თამაშს არ ტოვებს.



ბადრი კოპალიანის ფოტო

დაბოლოს, „კახეთს" ჰყავს გულშემატკივართა ყოჩი, რომლის შეძახილები სხვების ერთად აღებულს ფარავს. იგი ყასაბი ყოფილა და თურმე მატჩის დაწყებამდე ორი საათით ადრე მიდის სტადიონზე.

წარმოიდგინეთ, რა კომფორტშია „კახეთის" მთავარი ფანი — „ვიტ ჯორჯიასთან" მატჩისას თავის სტიქიაში იყო, ფეხბურთელებს ამხნევებდა, ორი-სამი კაცი კი ხის ტოტებს უნიავებდა და მზისგან იფარავდა. აბა, გაფრთხილება არ უნდა მთავარ ყოჩს?..

**ილია ნანობაშვილი**

# ინგლისი

ვაჟა ხუციშვილი

# ლამპარდი დაამრგვალებს?

| III ტური | | |
|---|---|---|
| **გუშინ** | | |
| სანდერლენდი | : | სიტი |
| პორტსმუთი | : | ასტონ ვილა |
| ბირმინგემი | : | მიდლსბრო |
| **დღეს** | | |
| არსენალი | : | ფულემი |
| ბოლტონი | : | ნიუკასლი |
| ჩელსი | : | ვესტ ბრომვიჩი |
| ბლექბერნი | : | ტოტენჰემი |

**ორტურმოლეულ** „ნიუკასლს“ ჯერ გოლი არ გაუტანია და ნავსის გატეხვას „ბოლტონთან“ გასვლით მატჩში ეცდება. სტუმრებს დისკვალიფიკაციამოხდილი ფორვარდი შოლა ამეობი დაუბრუნდათ, მაგრამ კირონ დაიერი და ემრე ბელოზოღლუ ტრავმირებულნი არიან. უკვე 40 წელია, ამ გუნდებს ბოლტონში ფრე არ უთამაშიათ. მასპინძლებმა დღეს თუ მოიგეს, ეს იქნება „ბოლტონის“ 50-ე გამარჯვება სემ ალარდაისის თავკაცობით.

ჟოზე მაურინიუმ „ვესტ ბრომვიჩთან“ შესაძლოა არიენ რობენი, ჯონ ტერი და უილიამ გალასი დაასვენოს. აჯანყებული რიკარდო კარვალიუ სავარაუდოდ ითამაშებს, მიკაელ ესიენი კი ალბათ ძირითად შემადგენლობაში იქნება. 27 წელია ბრომვიჩელებს „სტემფორდ ბრიჯზე“ არ მოუგიათ. ფრენკ ლამპარდს ერთი გოლი აკლია საიმისოდ, რომ 50 პრემიერლიგური მოაგროვოს, ეს მატჩი კი მისთვის 150-ე გახდება „ჩელსის“ მაისურით.

„არსენალს“ „ფულემთან“ ბოლო 12 შეხვედრაში არ წაუგია და „ჩელსისთან“ მარცხით გამწარებული დღევანდელ მეტოქეზე ამოიყრის ჯავრს.

ზედიზედ ორი მატჩის მომგებ „ტოტენჰემს“ ბლექბერნში ოთხი ფეხბურთელი დააკლდება: უეინ რუტლეჯი, ლედლი კინგი, ნოე პამაროტი და შონ დევისი. „ბლექბერნს“ კი „მამლებთან“ ბოლო სამ შეხვედრაში გოლი არ გაუტანიათ და ეგებ დღეს მოახერხონ.

**ვაჟა ხუციშვილი**



ფრენკ ლამპარდი (მარცხნივ) დღეს საიუბილეო მატჩს ჩაატარებს

## წინა ტურის სიმბოლური ნაკრები

4-4-2

ვან ნისტელროი — მანჩესტერი
დ. ბენტი — ჩარლტონი
სქოულზი — მანჩესტერი
პარკი — მანჩესტერი
დავიდსი — ტოტენჰემი
დ. მერფი — ჩარლტონი
კარაგერი — ლივერპული
ჰიპია — ლივერპული
ტერი — ჩელსი
სილვესტრი — მანჩესტერი
პოლ რობინსონი — ტოტენჰემი

გუნდი: მანჩესტერი

მწვრთნელი: ალან კერბიშლი

# ვილიარეალი ისტორიის კართან



„ვილიარეალის“ ფეხბურთელები ცალი ფეხით ჯგუფურ ეტაპზე არიან

**ჩემპიონთა ლიგაში** „ვილიარეალის“ შეძრომას 90 წუთი უკლია. პატარა ესპანური ქალაქის გუნდს „ევერტონთან“ ფრეც ჰყოფნის საიმისოდ, რომ ისტორიაში პირველად მთავარი ევროთასის ჯგუფურ ტურნირში ითამაშოს.

„ვილიარეალმა“ ლივერპულში 2:1 მოიგო. ანუ „ევერტონს“ სულ მცირე, ორი ბურთის გატანა მართებს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ „ტკბილეულთა“ შემტევები ფორმაში ვერ არიან, ხოლო ესპანელები შინ საუცხოოდ თამაშობს, ამ წყვილიდან ინგლისელთა გასვლა ფრიად საეჭვოა. თანაც სტუმრებს გამოცდილი მცველი ალესანდრო პისტონე არ ეყოლებათ, ხოლო მარკუს ბენტის თამაში სათუოა.

მეორე პრემიერლიგელს, „მანჩესტერ იუნაიტედს“, თავი ქუდში ცალი ფეხი კი ჩემპიონთა ლიგაში აქვს. „დებრეცენთან“ შინ, „ოლდ ტრაფორდზე“, 3:0 გამარჯვების შემდეგ ალექს ფერგიუსონის გუნდს უნგრეთში სასურველი შედეგის მიღწევა არ უნდა გაუჭირდეს.

„აიაქსი“ მიქაელ ლაუდრუპის „ბრონდბიუს“ უმასპინძლებს, რომელსაც გასვლაზე, ჩემპიონატში თუ ევროთასზე, უკვე ხუთი მატჩია, არ წაუგია. ამსტერდამში ნავსი ალბათ გატყდება.

იტალიის სუპერთასის მფლობელი „ინტერი“ ამ დროისთვის „შახტარზე“ უკეთესი გუნდია. „შავ-ლურჯებმა“ დონეცკში 2:0 იმარჯვეს. აქედან გამომდინარე, „სან სიროზე“ მშვიდად მიიყვანენ საქმეს ბოლომდე.

„ვოლერენგას“ ბელგიაში დიდი გაწამაწია ელის. ნორვეგიელებმა „ბრიუგეს“ შინ 1:0 მოუგეს, მაგრამ ვინძლო სტუმრად სათავისო ანგარიშის შენარჩუნება გაუჭირდეთ, რადგან „ბრიუგეს“ ჩემპიონთა ლიგისკენ მიმავალი გზა არაერთხელ გაუვლია და „ვოლერენგაზე“ უფრო გამოცდილია.

მასპინძლებს დაშავებული მანასე იშიაკუ და რენე ლანგე არ ეყოლებათ. საეჭვოა ოლივიე დე კოკის თამაშიც. სკანდინაველები კი წამყვან ფორვარდს ტორე ანდრე ფლოსა და ნახევარმცველს სტეფან იშიზაკის ვერ დაიხმარენ.

კიდევ ერთი ბელგიური გუნდი „ანდერლეხტი“ პრაღაში „სლავიას“ ესტუმრება. „სლავია“ უკვე ორი სეზონია, ჩეხეთის ჩემპიონატში ვერ ბრწყინავს და უფრო ნაკლები შანსი აქვს ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრისა, ვიდრე ბრიუსელელებს.

კვიპროსის „ანართოსისმა“ პირველ მატჩში ბლომად საგოლე მომენტები გაანიავა „რეინჯერსთან“ და წააგო. საპასუხო, გლაზგოურ შეხვედრაში,. სტუმრებს ძალიან გაუჭირდებათ. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ „ჩაფრებმა“ „სელტიკი“ დაჩაგრეს, „ანართოსისსაც“ „აიბროქსზე“ სასიამოვნო საღამო არ ელის.

საინტერესო მატჩი გველის ბრემენშიც. შვეიცარიის ჩემპიონი „ბაზელი“ „ვერდერთან“ საბურთაოდ წამყვანი ფორვარდის მლადენ პეტრიჩის გარეშე ჩავიდა, რომელიც გასულ უქმეებზე „არაუსთან“ მოგებულ (7:2) შეხვედრაში დაშავდა და რამდენიმე კვირა ვეღარ იბურთავებს. არადა, პირველ მატჩში პეტრიჩმა ბრემენელთა კარში გატანილ ორივე გოლში მიიღო მონაწილეობა.

ფავორიტად ცხადია „ვერდერი“ ითვლება. კარგ ფორმაში მყოფ ბრემენელებს ერთბურთიანი ჰანდიკაპის ამოქაჩვა წესით არ უნდა გაუჭირდეთ.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ჩემპიონთა ლიგა . მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

| | | |
|---|---|---|
| აიაქსი (ჰოლანდია) | — | ბრონდბიუ (დანია) |
| დებრეცენი (უნგრეთი) | — | მანჩესტერი (ინგლისი) |
| ბრიუგე (ბელგია) | — | ვოლერენგა (ნორვეგია) |
| სლავია (ჩეხეთი) | — | ანდერლეხტი (ბელგია) |
| რეინჯერსი (შოტლანდია) | — | ანორთოსისი (კვიპროსი) |
| ვერდერი (გერმანია) | — | ბაზელი (შვეიცარია) |
| ინტერი (იტალია) | — | შახტარი (უკრაინა) |
| ვილიარეალი (ესპანეთი) | — | ევერტონი (ინგლისი) |



# ბაროში ვილაში

**მილან ბაროში** „ასტონ ვილას“ მაისურით შეიმოსება. ჩეხი ფორვარდის „ლივერპულში“ ტანჯვა დასრულდა და დღეიდან იგი ხუან პაბლო ანხელის მეწყვილე გახდება. ბირმინგემელებმა ფეხბურთელის სანაცვლოდ 9 მილიონ 500 ათასი ევრო გადაიხადეს. ბარომმა გუშინ სამედიცინო შემოწმება გაიარა და კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

„ასტონ ვილას“ შეტევაში უჭირს და დევიდ ოლირი ჩეხის შეძენით კმაყოფილია. „ბაროშის გამოცდილება ჩვენს გუნდს ძალიან წაადგება“ — თქვა ბირმინგემელთა მწვრთნელმა.

მილან ბაროშს „ლივერპულთან“ კონტრაქტი 2007 წლამდე ჰქონდა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში უთამაშებლობით დაიჩაგრა და გუნდის გამოცვლა არჩია. ჩეხი ფორვარდი „ლივერპულმა“ 2001 წლის დეკემბერში „ბანიკიდან“ 7 მილიონ დოლარად შეიძინა. მას 27 სანაკრებო მატჩში 18 გოლი გაუტანია.

**ვაჟა ხუციშვილი**

# პაპა კარლოს გასაღები

## დროა, ალექს, დროა!

**ალესანდრო** დელ პიეროს აპენინურ თუ მსოფლიო ფეხბურთში 90-იანი წლების შუაწელს დიდი აჟიოტაჟით შემოიჭრა. ამ უდავოდ ნიჭიერი მოთამაშის კარიერის პიკად 1998 წელი მიიჩნევა, როდესაც მას იტალიური ფეხბურთის ახალ „ოქროს ბიჭუნად“ მოიხსენიებდნენ. თუმცა რამდენიმე თვის მერე მას მუხლის ჯვარედინი მყესები გაუწყდა და დიდი ხნით ჩამოშორდა მინდორს. მას შემდეგ „პინტურიჩომ“ ბოლომდე მომჯობინება ვერ მოახერხა, ვერც ფიზიკურად და ვერც ფსიქოლოგიურად.

საკუთარი თავის რწმენა და ვინმეს ნდობით სარგებლობა თანამედროვე ფეხბურთში ძალიან მნიშვნელოვანია. ხშირად ვხვდებით ნიჭიერ მოთამაშეებს, რომლებიც ასეთი თვისებების თუ უიღბლობის გამო მარტივ გამოცდასაც ვერ უძლებენ და იკარგებიან. ზოგიც პირიქით, მძიმე ტრავმის შემდეგაც გამართლებისა თუ მტკიცე ხასიათის წყალობით კვლავ ახერხებს მწვერვალზე ასვლას, მაგრამ დელ პიერო უკანასკნელთა კატეგორიას არ მიეკუთვნება. იტალიელ კოლეგებს თუ დავესესხებით, იგი თითქოს დათარსულ გალიაშია მომწყვდეული, საიდანაც თავის დაღწევას ვერ ახერხებს.

დღესაც ბევრს ბჭობენ სწორად მოიქცნენ თუ არა „იუვენტუსისა“ და იტალიური ფეხბურთის მაშინდელი მამები, როდესაც რობერტო ბაჯო დელ პიეროთი ჩაანაცვლეს. ვფიქრობთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მაშინ ეს გადაწყვეტილება სწორი იყო. თუმცა მას მერე მრავალი წელი გავიდა, დელ პიერო გაუთავებელმა ტრავმებმა გააწამა და ეს ის „პინტურიჩო“ აღარ არის, რომელიც 1995-98 წლებში გახლდათ...

ახლა დელ პიეროს წინაშე კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა და ბარიერია — ფაბიო კაპელო, კაცი, რომელმაც „იუვენტუსის“ სიმბოლო და ფანების საყვარელი ფეხბურთელი გასულ სეზონში სათადარიგოთა სკამზე დასვა და მხოლოდ ზოგჯერ აძლევდა თავის გამოჩენის შანსს. თუ სურათს გვერდიდან შევხედავთ, კაპელოს ვერც გაამტყუნებენ. „პინტურიჩოს“ ყოველი მინდორზე გამოჩენა ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ ტურინელები, რომლებსაც წარმატების მიღწევა სურდათ, დელ პიეროს არადამაჯერებელი თამაშის გამო ძალიან რისკავდნენ. ერთ-ორ მატჩს თუ არ ჩავთვლით, „იუვეს“ მე-10 ნომერმა ერთხელაც ვერ შეძლო იმ დათარსული გალიიდან გამოსვლა. ეს არ იყო მოთამაშე, რომელიც თავის გუნდს ეხმარებოდა, ეს გახლდათ ერთ დროს დიდი, კლუბის ჩვეულებრივ წევრად გადაქცეული ფეხბურთელი, რომელსაც მწვრთნელი ხშირად „ამცირებდა“.



ალესანდრო დელ პიერო

**იტალიურ პრესას უყურადღებოდ არ დაუტოვებია კარლო ანჩელოტის განცხადება ალესანდრო დელ პიეროს შესახებ. აპენინურ ჟურნალ-გაზეთებში მყისვე მითქმა-მოთქმა ატყდა და დაიწყო „პინტურიჩოს“ „მილანში“ გადასვლის პერსპექტივების განხილვა.**

**მოდით, ამ საინტერესო საკითხს გვერდს ნურც ჩვენ ავუვლით, თუმცა იქამდე კარლო ანჩელოტის სიტყვები გავიხსენოთ: „ბევრი ფეხბურთელია, ვინც გამიწვრთნია და ვისთანაც ისევ სიამოვნებით ვიმუშავებდი. დელ პიერო ერთ-ერთი მათგანია, რადგანაც იგი ნამდვილი პროფესიონალია, ხოლო მწვრთნელისთვის ასეთ მოთამაშესთან ურთიერთობა ყოველთვის სასიამოვნოა. ალექსისთვის „მილანელოს“ საწვრთნელი ბაზის კარი მუდამ ღიაა“...**

**აქვე შეგახსენებთ, რომ „მილანის“ ამჟამინდელი თავკაცი კარლო ანჩელოტი „იუვენტუსს“ დაახლოებით ორი წელი წვრთნიდა და იგი დელ პიეროს ყოველთვის ენდობოდა გინდაც, „პინტურიჩო“ ცუდ ფორმაში ყოფილიყო.**

ყველასთვის ცნობილია, რომ ფაბიო კაპელოს ფავორიტი ზლატან იბრაჰიმოვიჩია და ახლა „ბებერი ქალბატონის“ თავდასხმის ლიდერი სწორედ შვედი გახლავთ. როგორც იცით, ტაქტიკოსი 4-4-2 სისტემას ანიჭებს უპირატესობას. იბრაჰიმოვიჩის მეწყვილედ კი დავიდ ტრეზეგე მოიაზრება. ტურინელთა ახალწვეულს ადრიან მუტუს ფლანგზეც შეუძლია სასარგებლოდ თამაში. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ანტონიო კასანო ადრე თუ გვიან ალბათ „იუვენტუსში“ ამოყოფს თავს...

ასე რომ, „დელე ალპიზე“ დარჩენის შემთხვევაში „პინტურიჩოს“ მორიგი კოშმარული პერიოდი ელოდება. შესაბამისად, 2006 წლის მუნდიალზე მოხვედრაზე ოცნებაც არ ღირს. „სკუადრა აძურას“ თავკაცი მარჩელო ლიპი ერთ დროს საყვარელ ფეხბურთელს უბრალოდ ტკბილი მოგონებების გამო არ წაიყვანს გერმანიაში.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, კარლო ანჩელოტის განცხადება თუ დააპატიჟება შეგვიძლია დელ პიეროსთვის გვირაბის ბოლოს გამოჩენილ სინათლედ მივიჩნიოთ. იქნებ „დათარსული გალიის“ გასაღებიც სწორედ იქ ინახება. რასაკვირველია, ფსიქოლოგიურად ძალიან რთულია, გადაწყვიტო საყვარელი გუნდის დატოვება, რომელსაც მთელი შენი კარიერა უკავშირდება, სადაც 12 წელი გაატარე, თანაც გადახვიდე მისი უშუალო კონკურენტის რიგებში. თუმცა ალესანდრო ნესტამ უკვე დაამტკიცა, რომ ეს შესაძლებელია და „მილანში“ არის იმის საშუალება, რომ ყველაფერი თავიდან დაიწყო.

ნესტას გარდა, ახლო წარსულიდან კიდევ რამდენიმე მოთამაშის გახსენება შეგვიძლია. კაფუ იაპონიაში წასვლას და კარიერის ჩამთავრებას აპირებდა, როდესაც „მილანმა“ დაუძახა. ახლა კი ვეტერანი ბრაზილიელი „როსონერის“ ერთ-ერთი ლიდერია და კვლავ უმაღლეს დონეზე ბურთაობს.

იგივე ითქმის ანდეა პირლოსა და კლარენს ზეედორფზეც, რომლებიც „მილანმა“ „ინტერისგან“ დაიხსნა. ბოლო მაგალითი კი კრისტიან ვიერია, რომელიც „შავ-წითლებმა“ ასევე თანაქალაქელისგან დაიმატეს. ასე რომ, „როსონერი“ კარიერის უიღბლო პერიოდში ფეხბურთელების ერთგვარ მშველელად და ნავსაყუდელად იქცა.

დაადგება დელ პიეროს იგივე გზას და მიაღწევს წარმატებას? იქნებ მისი ტექნიკისა და შესაძლებლობების მქონე ფეხბურთელი სწორედ „მილანში“, დაცვაზე ნაკლებად ორიენტირებულ გუნდში უნდა თამაშობდეს? ამ და ყველა სხვა შეკითხვებზე პასუხს მხოლოდ იმ შემთხვევაში გავიგებთ, თუ „პინტურიჩო“, რომელსაც ნოემბერში 31 წელი უსრულდება, თავის კარიერაში ერთ-ერთ გადამწყვეტ ნაბიჯს გადადგამს, რისი გაკეთებაც მას ყოველთვის უჭირდა. არადა, დიდი ხანია დროა...

ამასობაში თავად დელ პიერო კიდევ ერთხელ ესაუბრა ჟურნალისტებს, თუმცა მას „მილანში“ გადასვლის შესაძლებლობაზე სიტყვაც არ უთქვამს: „სერია A-ს დაწყებამდე ვეღარ ვითმენ. ტიტული გვაქვს დასაცავი და ეს უნდა შევძლოთ. რაც შეეხება სუპერთასს, მიუხედავად იმისა, რომ „ინტერის“ წინააღმდეგ მთელი 120 წუთი კარგად ვითამაშეთ, გამარჯვება „ნერო აძურის“ დარჩა, რასაც ვულოცავ კიდეც. მილანელებმა გამოიყენეს თავიანთი შანსი. მართალია, წავაგეთ, მაგრამ ბევრი პოზიტიურიც გამოჩნდა. კერძოდ, ფიზიკურად მშვენივრად ვართ მზად და უამრავი სახიფათო მომენტი შევქმენით“.

**გიორგი ძაძამიძე**



კარლო ანჩელოტი



ფაბიო კაპელო



# რაფინია იხუმრებს

**გელზენკირხენის** „შალკემ“ 19 წლის ბრაზილიელი რაფინია იყიდა. ბუნდესლიგურმა კლუბმა „კურიტიბას“ 5 მილიონი ევრო ჩაუჯიბა. შალკელებს მცველი ჰოლანდიაში, მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე დაუზვერავთ და მისი თამაშით მოხიბლულან. რალფ რანგნიკს მარჯვენა ფლანგზე პრობლემები აქვს. კრისტიან პოულსენი და ჰამით ალტინტოპი მოსინჯა ამ პოზიციაზე, მაგრამ ვერ გაამართლეს. რანგნიკი რაფინიას სწორედ მარჯვენა ფლანგზე გაამწესებს.

ბრაზილიელი ყმაწვილკაცის დებიუტი „კურიტიბაში“ ორი წლის წინ შედგა. მან 37 მატჩში ითამაშა და სამი გოლი გაიტანა. რაფინიას თქმით, „შალკეში“ გადასვლა იმიტომ გადაწყვიტა, რომ იქ თავისტომი ლინკოლნი და მარსელო ბორდონი ეგულებოდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ორი მგლით მეტი



ალექსი

**„ვოლფსბურგმა“** ორი ფეხბურთელი ოფიციალურად გაიფორმა. ლისაბონის „ბენფიკადან“ მცველი ალექსი, ხოლო „ფულემიდან“ ნახევარმცველი სტივ მარლე.

პორტუგალიელის სანაცვლოდ „მგლებმა“ დაახლოებით ორი მილიონი ევრო გადაიხადეს, ხოლო მარლე მუქთად ერგოთ.

„სტივ მარლეს დიდი სანაკრებო გამოცდილება აქვს, სწრაფია და გოლების გატანაც არ ესწავლება, რაც შეეხება ალექსს, მას ევროპაში არ იცნობენ, მაგრამ ისიც ნაკრების ფეხბურთელია. ტექნიკურია, როგორიც ყველა. მას პორტუგალიელი მარჯვენა მცველად თამაში ეხერხება“ — თქვა „ვოლფსბურგის“ მენეჯერმა ტომას შტრენცმა.

**ვაჟა ხუციშვილი**





ფრანჩესკო ტოტისა და როდრიგო ტადეის „რომას“ წარმატების სჯერათ

# რა უნდა ტოტის?

**რისთვის** იბრძოლებს ამ სეზონში „რომა“? ამ არცთუ მარტივ კითხვაზე რომაელთა ქარიზმატულ კაპიტანს ფრანჩესკო ტოტის ასეთი პასუხი აქვს: გუნდში აშკარა ცვლილებებია უკეთესობისკენ, მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლას ვერ შევძლებთ.

— გუნდში ახალი მწვრთნელის, ლუჩანო სპალეტის მოსვლით, ყველაფერი ძირფესვიანად შეიცვალა. ცვლილებები ყველგან იგრძნობა: გასახდელშიც, მინდორზეც და რაც მთავარია, ჩვენს თავებშიც ეს ყველაფერი სულ რაღაც ერთი თვის ინტენსიური მუშაობის შედეგია. ზდენეკ ზემანის მერე ასეთი მონდომებით აღარ გვიმუშავია. ერთი სიტყვით, ჩვენი გულშემატკივარი პროგრესს მალე ნახავს. რაც შეეხება სკუდეტოსთვის ბრძოლას, მე ბუნებით ოპტიმისტი ვარ, მაგრამ რეალობა ისეთია, რომ ამ სეზონში „იუვენტუსთან“, „მილანთან“ და „ინტერთან“ ბრძოლა გაგვიჭირდება. ამიტომ ვფიქრობ, რომ მაინცდამაინც ბევრი არ უნდა ვილაპარაკოთ, თუმცა საუკეთესო შედეგის მიღწევას ვეცადოთ. თავად ამ წუთას 100 პროცენტით მზად თავს არ ვთვლი, თუმც სასურველ ფორმაში ძალიან მალე ჩავდგები“.

კაპიტანი ასე კი ლაპარაკობს, მაგრამ მისი ახალი თანაგუნდელი როდრიგო ტადეი ამბობს, სკუდეტოს მოგების გარდა ვერანაირი შედეგი ვერ დამაკმაყოფილებსო.

მოგეხსენებათ, ბრაზილიელი ახლახან გადავიდა „რომაში“ „სიენადან“, სადაც მეტად უილბლო წინა სეზონი გაატარა. საქმე ის გახლავთ, რომ „სიენას“ შეთავაზებაზე, კონტრაქტი გაეგრძელებინა, ტადეიმ უარი თქვა და როგორც თავად ამტკიცებს, ამის გამო სიენელები მას ურიგოდ ექცეოდნენ.

— ჯერ კიდევ „სიენას“ ფეხბურთელი ვიყავი, როცა ვამბობდი, სკუდეტოს მოგება მინდა-თქო — ამბობს ტადეი — მაშინ ჩემი ეს სურვილი ხალხს სასაცილოდ არ ყოფნიდა. ახლაც დამცინიან, მაგრამ ჩვენ კარგი მწვრთნელი გვყავს და მართლა მჯერა, რომ წარმატების მიღწევა შეგვიძლია. ლუჩანო სპაგეტი ბრწყინვალე ადამიანი და სპეციალისტია.

ახლა კი ისევ ტოტის დავუბრუნდეთ. მთელი ზაფხულის მანძილზე გაკეთებული ოპტიმისტური განცხადებების მერე, დედაქალაქელთა კაპიტანმა გუშინ ცოტა მოულოდნელი განცხადება გააკეთა — შეიძლება „რომა“ დავტოვო კიდეცო.

„გუნდთან კონტრაქტი სულ სოტა ხნის წინ 2010 წლამდე გავახანგრძლივე და ამით ძალიან ბედნიერი ვარ. თუმცა ჩემი მომავალი მთლიანად კლუბის კარგ თამაშზეა დამოკიდებული. ამ სეზონის მერე კიდევ ერთხელ დავფიქრდები. თუ სერიოზული მიზნებისთვის ბრძოლას ვერ შევძლებთ შეიძლება წავიდე კიდეც. „მილანში“ ან „რეალში“, რომ გადავსულიყავი სულ ცოტა 6-7 ტიტულს მოვიგებდი, მაგრამ მე „რომა“ მიყვარს და ჩვენ ბრწყინვალე ქომაგებს პატივს ვცემ. ძალიან მინდა გუნდთან ერთად დიდ წარმატებებს მივაღწიო“.

**კოტე კეკელია**

# სამუელს ნედველი ბალახი ეგონა

*თავის დროზე „რომადან“ „რეალში“ წასული, ამ ზაფხულს კი „ინტერში“ გადაბარგებული ვალტერ სამუელი ფაქტობრივად იტალიაში ჩასვლისთანავე შარში გაეხვა. იტალიის სუპერთასის მატჩისას არგენტინელმა „იუვენტუსის“ ჩეხს პაველ ნედვედს შეაფურთხა*

**ის, რაც** მსაჯს გამოეპარა, ტელეკამერებისთვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა, სადაც ნათლად ჩანს, რომ სამუელი ნედვედს დიახაც, რომ აფურთხებს.

ბუნებრივია, სტანდარტულმა სასჯელმაც არ დააყოვნა და „ინტერის“ ცენტრალურ მცველს იტალიელმა საფეხბურთო ჩინოსნებმა სამმატჩიანი დისკვალიფიკაციო აჰკიდეს. ეს კი ნიშნავს, რომ ვალტერ სამუელი სერია A-ში „ტრევიზოს“, „პალერმოსა“ და „ლეჩეს“ წინააღმდეგ ვერ ითამაშებს.

თუმცაღა სამუელის კლუბი ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს. აპელაცია ფეხბურთელის თავის მართლებას ცდილობდა: აქა-ოდა, ბალახზე მინდოდა დაფურთხება, ის ოხერი ფურთხი კი ნედველს როგორ მოხვდა, აზრზე არ ვარო.

ეგებ ასეც იყოს, უფრო საინტერესო და ის გახლავთ, რომ ამ ამბის შესახებ თავად შეფურთხებულმა ნედველმა მოგვიანებით შეიტყო. ჩეხმა თქვა: „დიახ მითხრეს, რომ სამუელს ჩემთვის შეუფურთხებია, მაგრამ იმ მომენტში მე არაფერი შემიმჩნევია“.

რომ შეემჩნია, მუშტი-კრივის მოყვარულთ ეგებ კარგი სეირიც ეხილათ.

**კოტე კეკელია**



ვალტერ სამუელმა ბალახს მიაფურთხეო

# კორეიდან ჯო წავიდა

**სამხრეთ კორეის** მწვრთნელი ჯო ბონფრერე თავისი ნებით წავიდა. „მან თვითონ მოგვმართა თხოვნით და ჩვენც დავყაბულდით“ — განაცხადა კორეელთა ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ.

ბონფრერე მას შემდეგ აითვალწუნეს, რაც აგვისტოს დასაწყისში აღმოსავლეთ აზიის ოთხგუნდიან ჩემპიონატში ჩინეთის, ჩრდილოეთ კორეას და იაპონიას ჩამორჩა და ბოლო ადგილზე გავიდა. ამას მოჰყვა საუდის არაბეთთან საშინაო მარცხი (0:1). ჰოლანდიელ მწვრთნელს სამხრეთ კორეაში აღარ ელოდებოდა და აზიიდან აბარგება გადაწყვიტა.

ფედერაციის თავმჯდომარის განცხადებით, ბონფრერეს შემცვლელს უახლოეს დღეებში მოძებნიან. იქაური მედიის ვარაუდით, სამხრეთკორეელთა ახალი თავკაცი ან მიკ მაკარტი იქნება ან ბრუნო მეტსუ.

**ვაჟა ხუციშვილი**



ჯო ბონფრერე

# პორტსმუთმა პრისკე გარისკა

**„პორტსმუთმა“** სეზონი ცუდად დაიწყო. დაცვაში გაძლიერება სჭირდებოდა და ბელგიური „გენკიდან“ დანიის ნაკრების ფეხბურთელი ბრაიან პრისკე შეიძინა. 28 წლის მცველმა პრემიერლიგურ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა, „გენკმა“ კი დაახლოებით მილიონი დოლარი მიითვალა.

„პორტსმუთის“ აღმასრულებელმა დირექტორმა პიტერ სტორიმ განაცხადა: „პრისკე ნიჭიერი ფეხბურთელია. ნაკრებში მარჯვენა, კლუბში კი ცენტრალურ მცველად თამაშობდა. ვფიქრობ, რომ პრემიერლიგას იოლად შეეგუება“.

დანიელი მცველი, რომელმაც ინგლისთან 4:1 მოგებულ მატჩში ითამაშა, ფრანგულ „სოშოსაც“ სურდა, მაგრამ ეს ტრანსფერი არ გამოვიდა.

**ვაჟა ხუციშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა




# ღმერთს არ გაუტანია, ის მე ვიყავი...

**მარადონამ** ეგრეთწოდებულ „ღმერთის ხელის საიდუმლოს" ფარდა თავადვე ახადა.

„არასდროს მინანია, პიტერ შილტონს 86-ში ის ბურთი ხელით რომ გავუტანე. ახლა კი პირდაპირ, მთელი არგენტინის გასაგონად ვაცხადებ — შეუძლებელი იყო 1,85 მეტრის სიმაღლის მეკარისთვის მაღალ ბურთზე ბრძოლაში მეჯობნა, რადგან მე მასზე ოცი სანტიმეტრით დაბალი ვარ. ვაღიარებ, „აცტეკაზე" ინგლისის ნაკრების კარში პირველი გოლი ჩემი მარცხენა ხელიდან შევიდა" — განაცხადა დიეგო არმანდომ ორშაბათს თავის საავტორო გადაცემაში „საღამო 10-ანთან ერთად".

მარადონას იმ საღამოს ამერიკული ნბა-ს არგენტინელი ვარსკვლავი, მანუ ჯინობილი ჰყავდა სტუმრად და თითქოს „კანალ 13"-ის ეთერშიც კალათბურთზე უნდა ესაუბრათ, მაგრამ მსოფლიო ფეხბურთის უცნაურმა მეფემ ორშაბათის გადაცემა თავის აღსარებად აქცია...

„ეგეთი გოლი იტალიაშიც შევაგდე, მაშინ „ნაპოლი" „უდინეზეს" ეთამაშებოდა. მახსოვს, ჩემთან მეტოქის ფეხბურთელი, სახელგანთქმული ზიკო მოვიდა და შემეკითხა, ხელით გატანილი ბურთის გამო სინდისის ქენჯნას ხომ არ ვგრძნობდი. ბრაზილიელს ვუთხარი, რომ არაფერი მაწუხებდა" — თქვა არგენტინელმა ლეგენდამ.

მერე 1986 წლის ინგლისის ნაკრების გოლკიპერის, პიტერ შილტინის სიტყვებიც გაიხსენა: „პიტერმა თავის გამოსათხოვარ მატჩზე არ მიმწვია. მისი თქმით, იმ გოლის გამო ჩვენ მომავალში ურთიერთობას ვერ ავეწყობდით. ვუპასუხე, რომ ამის გამო ძილი გამიტყდებოდა... რას იზამ, მაშინ ახალგაზრდები ვიყავით" — გაეცინა დიეგოს.

**ლადო ხომერიკი**

# ფერარი თავშესაფარს მიუახლოვდა



**მატეო ფერარის** „რომასთან" ურთიერთობა საკმაოდ უფერული გამოდგა და საბოლოოდ ასე დასრულდა: მისმა აგენტმა ფეხბურთელის „ევერტონში" თითქმის გადასვლა გამოაცხადა.

„მატეოს სამშაბათს, რომაელებთან არ უვარჯიშია. საერთოდაც, დროა „ევერტონთან" კონტრაქტს მოაწეროს ხელი, — უთხრა ერთ-ერთ იტალიურ რადიოარხს მოთამაშეების ყიდვა-გაყიდვათა სპეციალისტმა სახელად ჯოვანი კორჩიმ. შემდეგ კორჩიმ დასძინა, — ფერარის „რომა" კი არ გაყიდის, სეზონის ბოლომდე გააქირავებს და ამაში 3,7 მილიონ გირვანქას მიიღებს."

იტალიური ფეხბურთის დაკვირვებულ ქომაგებს ეხსომებათ, რომ ფერარი „სტადიო ოლიმპიკოს" ვერაფრით შეეწყო, რასაც ხელი გუნდის ქომაგებმაც შეუწყვეს. მათ 25 წლის მცველს შეცდომები არ შეარჩინეს, ერთი ამბავი ატეხეს და საბრალო დამშვიდების მაგივრად უარესად აანერვიულეს.

ფერარის იტალიის ნაკრების შემადგენლობაში ათი თამაში აქვს ჩატარებული.

# რონალდინიო მადრიდის რეალში?

„როცა რონალდინიოს ეკითხებიან, მოეწონებოდა თუ არა მადრიდის „რეალში" თამაში, ცხადია, პრესის წინაშე უყოყმანოდ ამბობს უარს. ეს არ მიკვირს და ჩემს მეგობარს ყველანაირად ვამართლებ. „ბარსას" გასაგონად სხვას რას იტყვის... საქმე ისაა, მიკროფონისა და კამერის გარეშე, ყველაზე სანდო ხალხთან რას ლაპარაკობს. „რეალში" თამაშის პერსპექტივა ყველას ხიბლავს და გამონაკლისი არც ის არის" — განუცხადა რობერტო კარლოსმა გუშინ ესპანურ „ელ მუნდო დეპორტივოს".




რობერტო კარლოსი

„რეალის" მცველი გუშინ მეტისმეტ აგრესიას აფრქვევდა „ბარსელონასადმი", რადგან ესეც არ იკმარა და დაამატა: „რეალ"-„ბარსას" მეტოქეობაში ინჩასებიც რომ ჩავრთოთ, ნამდვილად ჩვენები მოიგებენ. თავად განსაჯეთ, ჩვენ გინდაც მესამეხარისხოვან გუნდს ვეთამაშებოდეთ, „სანტიაგო ბერნაბეუს" ტრიბუნები პირთამდეა გადაჭედილი, „ბარსელონას" ქომაგები კი თუ „კამპ ნოუზე" მაინცდამაინც გრანდი მეტოქე არ ჩავიდა, სტადიონზე მისვლას არ კადრულობენ. „გამპერის თასზე" სპეციალურად „იუვენტუსი" დაპატიჟეს, ტრიბუნები ცარიელი რომ არ ყოფილიყო..."

როგორც ხედავთ, მადრიდელი რობერტო „ბარსაზე" ფრიად განრისხებულია, თუმც კატალონიურმა გაზეთებმა ბრაზილიელს მკვახე სიტყვებს თავისებური ახსნა მალე მოუძებნეს — „ბერნაბეუს თასზე" ჩრდილოამერიკელი ფეხბურთელებიდან შემდგარი ულიმლამო გუნდი ჩამოვიდა და ეგ კაცი „გამპერზე" და „იუვენტუსის" ამბავზე მიტომაა გაცოფებულიო...

კარლოსმა კი თავისი არ დაიშალა და „მუნდო დეპორტივოსთან" საუბრის დასასრულ მადრიდელთა საუკუნო მეტოქეს ისევ გაჰკრა კბილი: „თქვენ მეუბნებით, „ბარსელონამ" ესპანეთის სუპერთასი მოიგო. მაპატიეთ, მაგრამ მე პატივს უფრო ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებულ გუნდს ვცემ".

**ლადო ხომერიკი**

# რეალის ახალი ბრაზილიელი — რიკარდინიო

**მადრიდის** „რეალის" „სანტოსური მარაგი" მარტო რობინიოთი არ ამოიწურება, დეკემბერში „სანტიაგო ბერნაბეუს" არენას მორიგი ოკეანისგაღმელი, რიკარდინიო მიაკითხავს. „სანტოსის" 29 წლის მობურთალი „რეალის" ამჟამინდელი დამრიგებლის, ვანდერლეი ლუშემბურგოს ფავორიტია. მისი კარიერა 1995 წელს ბრაზილიური „პარანაში" ვანდერლეის შეგირდობით დაიწყო. შემდეგ მწვრთნელმა რიკარდინიო „კორინთიანსში" წაიყვანა, სადაც 1998 და 99 წლების ბრაზილიის პირველობა მოიგეს.

უფრო გვიან მომავალი რეალელის სანაკრებო დებიუტიც ლუშემბურგოს დაუკავშირდა — ეროვნული გუნდის თავკაცმა ვანდერლეიმ 2002 წლის მუნდიალზე დაშავებული ემერსონის ნაცვლად სწორედ რიკარდინიოს უხმო. 2004-ში, როცა ლუშემბურგო „სანტოსის" მწვრთნელად დანიშნეს, კლუბის უფროსებს თავისი საყვარელი ფეხბურთელის შეძენა სთხოვა — ერთი სიტყვით, რიკარდინიოს, რომელიც „რეალში" 5 მილიონ ევროდ გადავა „სანტიაგო ბერნაბეუზე" დამრიგებელთან პრობლემები ნამდვილად არ შეაწუხებს.

ბრაზილიელის ესპანეთში გადაბირებას დეკემბერში, იქაური ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ელოდებიან. აქამდე რიკარდინიომ ორჯერ მოსინჯა ევროპული სარბიელი, ჯერ 97-98-ის სეზონში ფრანგული „ბორდოს" ღირსებას იცავდა, შემდეგ კი ალბიონურ „მიდლსბროშიც" ითამაშა, თუმცა თავის გამოჩენა ვერც ერთხელ ვერ შეძლო. ვნახოთ, ბრაზილიელს ძია ლუშემბურგოს „რეალი" რა სარგებელს მოუტანს.

**ლადო ხომერიკი**



რიკარდინიო ლუშემბურგოს ფავორიტია

## შვედეთი

ალსვენსკა. XIX ტური

სუნდსვალი 5:0 ასირისკა
ჰელსინგბორგი 1:0 ლანდსკრონა
ჰეკენი 1:3 ჰამარბი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 19 | 11 | 4 | 4 | 39:22 | 37 |
| გიოტებორგი | 18 | 9 | 6 | 3 | 22:10 | 33 |
| ჰელსინგბორგი | 19 | 10 | 3 | 6 | 28:28 | 33 |
| ჰამარბი | 19 | 9 | 5 | 5 | 34:22 | 32 |
| მალმიო | 19 | 9 | 5 | 5 | 23:18 | 32 |
| კალმარი | 19 | 6 | 8 | 5 | 17:17 | 26 |
| ელფსბორგი | 18 | 7 | 5 | 6 | 26:27 | 26 |
| ჰეკენი | 19 | 8 | 1 | 10 | 25:24 | 25 |
| იორგრიტე | 19 | 7 | 4 | 8 | 25:28 | 25 |
| გეფლე | 19 | 7 | 3 | 9 | 20:25 | 24 |
| ლანდსკრონა | 19 | 6 | 4 | 9 | 20:32 | 22 |
| ჰალმსტადი | 19 | 6 | 3 | 10 | 28:29 | 21 |
| სუნდსვალი | 19 | 4 | 5 | 10 | 22:35 | 17 |
| ასირისკა | 19 | 4 | 2 | 13 | 15:27 | 14 |

## ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა
III ტური

ზლინი 3:1 სლოვაცკო
მოსტი 4:0 ბანიკი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიბერეცი | 3 | 3 | 0 | 0 | 7:2 | 9 |
| პრჟიბრამი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:4 | 7 |
| მოსტი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:3 | 6 |
| პლზენი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:2 | 6 |
| სიგმა | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| სპარტა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:4 | 6 |
| იჰლავა | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| სლავია | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ტეპლიცე | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ბოლესლავი | 2 | 1 | 0 | 1 | 6:5 | 3 |
| იაბლონეცი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:6 | 3 |
| ბანიკი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| ზლინი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| ბლშანი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:7 | 3 |
| სლოვაცკო | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |
| ბრნო | 3 | 0 | 0 | 3 | 2:5 | 0 |

## ავსტრია

მაქსბუნდესლიგა. VII ტური

შტურმი 0:2 გრაცერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აუსტრია | 7 | 5 | 1 | 1 | 14:10 | 16 |
| რაპიდი | 7 | 4 | 1 | 2 | 14:7 | 13 |
| გრაცერი | 7 | 4 | 1 | 2 | 12:8 | 13 |
| პაშინგი | 7 | 2 | 4 | 1 | 10:6 | 10 |
| მატერსბურგი | 7 | 3 | 1 | 3 | 9:12 | 10 |
| რიდი | 7 | 2 | 3 | 2 | 10:9 | 9 |
| შტურმი | 7 | 2 | 3 | 2 | 8:9 | 9 |
| ზალცბურგი | 7 | 2 | 1 | 4 | 7:9 | 7 |
| ტიროლი | 7 | 1 | 4 | 2 | 5:9 | 7 |
| ადმირა | 7 | 0 | 1 | 6 | 6:16 | 1 |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

# გულო, შავგულო...

*თურმე მშვიდ, უხმაურო ფეხბურთელებს მექსიკაში „ჩუმ მეგობრებს“ უწოდებენ. კლაუდიო სუარესიც ერთი შეხედვით ტიპიური ჩუმი მეგობარია, მაგრამ თუ არ დავიზარებთ და მეორედაც შევხედავთ, უკვე „რკინის ადამიანს“ დავინახავთ, რომელიც აგერ უკვე ცამეტი წელიწადია ეროვნულ გუნდს წარბშეუხრელად ემსახურება და მსოფლიო რეკორდსაც გამოკრა ხელი — 172 მატჩი ნაკრების მაისურით*



**ამბობენ**, რომ სუარესი წლებისა და ჩუმი ერთგულების გამო მექსიკელთათვის ფეხბურთელზე მეტიც კი გახდა. დღეს, მის გაძევებას ან შეცვლას ძნელად თუ მოიგონებს ვინმე. გარდა ამისა, სხვა პლუსებიც აქვს: თანაგუნდელებს ყოველთვის უყვარდათ და ჟურნალისტებთან იოლად პოულობს საერთო ენას — ინტერვიუზე არასდროს ეუბნება უარს და დალაგებით, მადლიანად საუბრობს.

პირველი თამაში ნაკრებში... ეს მოვლენა, მსოფლიოს ნებისმიერ მოთამაშეს სამუდამოდ ებეჭდება გონებაში. სუარესის შემთხვევა ასეთი გახლდათ: 1992 წელს, მექსიკას არგენტინელი ლუის სესარ მენოტი ედგა სათავეში, რომელმაც ვინ მოთვლის მერამდენედ დაამტკიცა, რომ დიდი კარიერის ამოცნობის უნარი აქვს.

„მოულოდნელად შევიტყე, რომ ნაკრებში მიძახებენ და ავდუღდი. როგორც ყველა, მეც ვოცნებობდი ნაკრებზე. გადავწყვიტე, რადაც არ უნდა დამჯდომოდა თავი გამომეჩინა, — იგონებს ვეტერანი, — პირველმა თამაშმა სალვადორთან მიწია. დებიუტანტი ვიყავი და ბუნებრივია ძალიან ვნერვიულობდი. მაშინ მარჯვენა ფლანგელი გახლდით. ერთი ტაიმი მათამაშეს და საბედნიეროდ მოვიგეთ. მენოტი როგორც მივხვდი კმაყოფილი დარჩა. მას შემდეგ სულ მიძახებდა და საბოლოოდ ნაკრების მუდმივ წევრად მაქცია.“

„კოპა ამერიკა“ ის შეჯიბრებაა, რომელსაც მექსიკაში ყოველთვის დიდი აღტყინებით ელიან. არ არსებობს მექსიკელი ფეხბურთელი მასში მონაწილეობის სურვილი რომ არ უჭამდეს გულს და არ არსებობს ქომაგი მოუთმენლად რომ არ ელოდეს ამ შეჯიბრების დაწყებას. სუარესმა ხუთ „კოპაში“ ითამაშა და ნაკრებში ამდენი თამაშიც ბევრწილად ამიტომ დაუგროვდა. მისი პირველი „კოპა“ მექსიკელთათვის მეორე ადგილზე გასვლით დასრულდა.

„ მექსიკელებს ისეთი გუნდი, 1993 წელს, ეკვადორში რომ გვყავდა, იშვიათად თუ გვყოლია. მაშინ ნაკრებში მაღალი დონისა და საოცარი თავდადებით მოთამაშე ფეხბურთელები თამაშობდნენ.“ — სიამაყით იგონებს სუარესი.

და იცით, რა არის „ოქროს თასი“? ეს გახლავთ კონკაკაფის ანუ ცენტრალური და ჩრდილო ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციის შეჯიბრება, ასე ვთქვათ, ცენტრალურ და ჩრდილოამერიკელთა „კოპა ამერიკა“ ან „ევროპის ჩემპიონატი“, რომელშიც, როგორც ამ რეგიონის მკვიდრი, მექსიკაც მონაწილეობს. ერთი სიტყვით, მექსიკელები გამოდიან, როგორც სამხრეთ ასევე ცენტრალურ და ჩრდილო ამერიკის მთავარ სანაკრებო შეჯიბრებაში და ბუნებრივია უფრო მეტ თამაშებს ატარებენ ვიდრე სხვა ქვეყნის ნაკრებები. ამიტომაც უგროვდებოდა შეუცვლელ სუარესს ბევრი სანაკრებო შეხვედრა.

მეასე მატჩი ეროვნულ გუნდში „ჩუმმა რკინის ადამიანმა“ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ოკლენდში, ტრინიდადსა და ტობაგოსთან მატჩში, შორეულ 1998 წელს ჩაატარა.

სუარესი იგონებს: „ჩემი მიზანი ნაკრებში მუდმივად თამაში, გუნდისთვის წარმატებისა და თავისთვის სახელის მოტანა გახლდათ. თან, როგორც ჩანს ჩემი თამაში მწვრთნელებს მოსწონდათ, რადგან ისინი შეკრებებზე მუდმივად მიძახებდნენ და ასე, თამაშ-თამაშ და მოულოდნელად, ჯერ ასიანთა კლუბში ამოვყავი თავი, მერე და მერე კი რეკორდიც მოვხსენი და საგანგებო მედალიც მომცეს. ამ მედალს დიდი სიამაყით ვინახავ.“

შემდეგ კი რეკორდსმენი განაგრძობს: „დღეს, როდესაც ფეხბურთელს გაუჩერებელი სირბილი მთელი 90 წუთის განმავლობაში ასეთი ინტენსიურობით გიწევს, მუდმივად საუკეთესო ფიზიკურ ფორმაში ყოფნაც გჭირდება. სამწუხაროდ, მე უკვე გადაღლილი ფეხები მტკივდება და ხეირიანად ვეღარც აღდგენით ვარჯიშებს ვაბამ თავს, მარამ გულში ძველებურად გამარჯვებების სურვილი მიტრიალებს და ბრძოლაში ვიწევ.“

სუარესმა მსოფლიოს ორ ჩემპიონატში ითამაშა — 1994 და 1998 — 2002-ში კი ტრავმამ გადაუკეტა კორეა-იაპონიისკენ მიმავალი გზა.

„გნებავთ დამიჯერეთ, გნებავთ არა, ჩემპიონატამდე სამი თვით ადრე ამერიკაში, დენვერში მატჩის წინ ვხურდებოდი და... ფეხზე ძვალი გავიბზარე. საშინლად გულსატკენი იყო, ამის გამო მსოფლიოს ჩემპიონატის გამოტოვება, რომ მომიწია.“

და ბოლოს: „ჩემი კარიერით მაინც ძალიან კმაყოფილი ვარ. ყველაფერი, რაც აქამდე გამოვცადე და გადამხდა, ჩინებული იყო. ერთადერთი, უცხოეთში თამაშის გამოცდილება მაკლია. ერთი სიტყვით, მინდა ორიოდ წელიწადი კიდევ დავყო მოედანზე, თუმცა... ამას წინათ, სამედიცინო გამოკვლევების დროს გულზე შემჩნეულმა დარღვევებმა ცოტა შემაშინა. იცით, ფეხბურთი კარგია, მაგრამ ჯანმრთელობა ყველაფერზე მთავარი გახლავთ“

**ბაჩუნა ძიძია**


ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიტალი ასტაფიევსი

# რუსებს ლატვიის ყიდვა უნდოდათ

„რუსები ჩვენთან მოვიდნენ და სოლიდური თანხა შემოგვთავაზეს. პირობა ასეთი იყო — ლატვიის ნაკრებს ის შეხვედრა წაგებით უნდა დაესრულებინა. გარდა პირადად ფეხბურთელებისა, რუსეთის მხარემ ლატვიის ფეხბურთის ფედერაციის მოსყიდვაც სცადა“ — სენსაციურად განუცხადა ლატვიის ეროვნული გუნდის კაპიტანმა ვიტალი ასტაფიევსმა თანამემამულე „SPORTA AVIZE“-ს კორესპონდენტს.

შეგახსენებთ, რომ ლატვიამ და რუსეთმა 17 აგვისტოს რიგაში 2006 წლის მუნდიალის შესარჩევ მატჩში საბრძოლო ფრე, 1:1 ითამაშეს, რის შედეგადაც სიომინის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრის შანსები გაურთულდა. „ფეხბურთში ასეთი რაღაცები ხდება ხოლმე, თუმც რაც ლატვიის ნაკრები არსებობს, მსგავსი ჭუჭყიანი გარიგება არავისთან შეგვიკრავს. ჩვენ ანგარიშის ამბავს მარტო მოედანზე ვარკვევთ“ — დასძინა ასტაფიევსმა.

ბალტიისპირელი რუსის აღიარებით, რუსეთის საფეხბურთო კავშირის თავკაცობა, ბუნებრივია, კმაყოფილი არ იქნება. „ასტაფიევის სიტყვები მონაჩმახია და მეტი არაფერი. ჩვენ ლატვიელი ფეხბურთელის ცილისწამებლურ განცხადებას დაწვრილებით შევისწავლით, რის მერეც ფიფას და უეფას მივმართავთ“ — თქვა ვიტალი მუტკომ, რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა.

პატივცემულ მუტკოსთან ერთად ბორის იგნატიევი (ნაკრების მეორე მწვრთნელი) და ნიკიტა სიმონიანი (საფეხბურთო კავშირის ვიცე-პრეზიდენტი) [illegible].

„ვფიქრობ, ასტაფიევსი დიდი ინტრიგანია. თუ მას საკუთარი ბრალდებების დამტკიცება სურს, მაშინ მართლა პირდაპირ თქვას — ესა და ეს ივანოვი თუ სიდოროვი ჩემთან მოვიდა და რაღაც ფული შემომთავაზა. ისე ნუ ლაყბობს“ — უთხრა იგნატიევმა ჟურნალისტებს.

„მსგავსი არაფერი ვიცოდი. თუ რამე მართლა მოხდა, გარწმუნებთ, რუსეთის საფეხბურთო კავშირს ლატვიელთა მოსყიდვის მცდელობაში ვერავინ დაადანაშაულებს. მოდით, ასე ვთქვათ — დავუშვათ ვინმე რუსმა ბიზნესმენმა, კერძო კაცმა ბალტიისპირელთა ყიდვა გადაწყვიტა. ვიტალი ასტაფიევს ვთხოვ, ამ ჩვენთვის დაიჯერი სამსახურის გამწევი კაცის ვინაობა დაგვისახელოს“ — განაცხადა სახელგანთქმულმა სიმონიანმა.

უნდა ითქვას, რომ თავისთავად კაპიტნის ბრალდებას ლატვიის ფეხბურთის ფედერაციის მეთაური მუჟეცკისიც არ ეთანხმება, თუმცა რუსებს უკვე მერამდენეჯერ ადანაშაულებენ მეტოქეთა მოსყიდვაში. 2003 წლის მარტში ჩრდილოელებს ალბანელთა მოსყიდვა დააბრალდათ, იმავე წლის 4 ივნისს კი შვეიცარიის ნაკრებთან მატჩში ესპანელი არბიტრის მოქრთამვაში დაადანაშაულეს. ვითომ მოწმენდილ ცაზე ქუხს ასე? ბატონების, მუტკოს, იგნატიევს და სიმონიანის თუ ვენდობით, ალბათ ასეა...

**ლადო ხომერიკი**

# კაჭკაჭი გალამურდა

**ესპანურმა** „ვალენსიამ“ დაშავებული ედუს შემცვლელი მალევე იპოვნა. „ლამურებმა“ „ნიუკასლისგან“ უგო ვიანა ერთი წლით ინათხოვრეს. 22 წლის პორტუგალიელი „კაჭკაჭებს“ აღარ სჭირდებათ და ამ ზაფხულს მის გაყიდვას ცდილობდნენ. თუმცა საბოლოოდ „ვალენსიის“ წინადადებას დაყაბულდნენ.

„ვიანა „ვალენსიასთვის“ მშვენიერი კანდიდატია. მოლაპარაკებებმა უცბად და წარმატებულად ჩაიარა“ — თქვა ესპანური კლუბის დირექტორმა ხავიერ სუბირატსმა.

